



საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი

წინამდებარე გზამკვლევი აღწერს კურსკულუმის რუკის შედგენის მეთოდებსა და შესაბამის მაგალითებს, გასაზღვრავს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის შედგენის პრინციპებსა და ფორმებს, ასევე სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენის მაგალითებს. გზამკვლევაში განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები და მასში ჩართული პირები

EEU

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

➤ რა არის სტუდენტის სწავლის შედეგები (Student Learning Outcomes – SLOs) ?

სტუდენტის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

➤ რა არის კურიკულუმის რუკა (სწავლის შედეგების რუკა)?

კურიკულუმის რუკის შედგენა გვეხმარება იმის დადგენაში, თუ რამდენად იფარება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგები.

კურიკულუმის რუკის მეშვეობით ნათლად ჩანს კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმსა და სწავლის შედეგებს შორის. მათი მეშვეობით შესაძლებელია მოვახდინოთ იმ სასწავლო კურსების იდენტიფიცირება, რომელიც ეხმარება სტუდენტს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, ან/და იმ სასწავლო კურსებისა, რომელიც ზედმეტია საგანმანათლებლო პროგრამაში.

კურიკულუმის რუკა წარმოადგენს პროგრამის შინაარსის ანალიზის ინსტრუმენტს და გვეხმარება, მთლიანობაში დავინახოთ პროგრამის სტრუქტურა.

კურიკულუმის რუკა ასევე გვეხმარება შევადგინოთ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და განვსაზღვროთ, თუ როდის და რა შეფასების მეთოდით მოხდება ამა თუ იმ სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება.

კურიკულუმის რუკა თან უნდა ერთვოდეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ყველა საგანმანათლებლო პროგრამას.

➤ როგორ შევადგინოთ კურიკულუმის რუკა?

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება პროგრამის სწავლის შედეგები, უნდა აიგოს კურიკულუმი (არსებული პროგრამის შემთხვევაში უნდა მოხდეს კურიკულუმის გადახედვა), რათა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ შესაბამის სწავლის შედეგებს. ამისათვის საუკეთესო გზაა კურიკულუმის რუკის შედგენა. ეს უკანასკნელი ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები.

კურიკულუმის რუკა შეიძლება გამოვსახოთ ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით.

ცხრილი #1

სასწავლო კურსი	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5
კურსი 1	✓		✓		✓
კურსი 2				✓	✓
კურსი 3	✓	✓		✓	✓
კურსი 4		✓	✓		✓
კურსი 5	✓	✓	✓	✓	✓

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში უნდა ჩანდეს ბმა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან, თუ ვამბობთ, რომ ესა თუ ის კურსი ავითარებს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს. შესაძლებელია კურიკულუმის რუკაში აღნიშვნის ნაცვლად, ისიც მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს (**იხ. ცხრილი 2**). ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამ დონეზე უნდა განვითარდეს: I – გაცნობა, D - გაღრმავება; M - განმტკიცება.

ცხრილი #2

სასწავლო კურსი	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5
კურსი 1	I	I	I	I	I
კურსი 2		I	D	D	
კურსი 3	D		D	D	
კურსი 4	D	D		M	D
კურსი 5	M	M	M	M	M

I – გაცნობა, D - გაღრმავება; M - განმტკიცება

კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. რუკაზე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა; ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით; ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს; ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს.

➤ **პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა**

პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახული უნდა იყოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. აღნიშნული რუკა შეიძლება შემდეგი ცხრილის სახით გამოვსახოთ.

ცხრილი #3

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5
მიზანი 1	✓				
მიზანი 2		✓	✓		
მიზანი 3				✓	
მიზანი 4					✓

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს უნდა შეფასდეს, რათა დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას სტუდენტებმა მიაღწიეს თუ არა პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასება იმის მაჩვენებელიცაა მიღწეულია თუ არა პროგრამის მიზნები, რადგან პროგრამის თითოეული მიზანი დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან.

➤ როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა?

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისასთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რეალევანტური გეგმის შედგენას, აღნიშნული გეგმის თანმიმდევრული და სრულფასოვანი იმპლემენტაცია არის დასკვნითი ფაზა სწავლის შედეგების შეფასების და უმთავრესი ინდიკატორი იმის გასზომად არის თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები ადექვატური არა მხოლოდ მასში შემავალ სასწავლო კურსებთან მიმართებით, არამედ პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და უნდა ადასტურებდეს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს აკადემიური პროგრამის განვითარების კომიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, სხვა წევრები. კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკასა და მოიცავდეს შეფასების ადექვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების საშუალებას იძლევა. თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის გამოყენებული უნდა იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

აკადემიური პროგრამის განვითარების კომიტეტი, პროგრამის კურიკულუმის რუკის საფუძველზე შეიმუშავებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შეფასდეს. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სწავლის შედეგების შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომებში. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შემაჯამებელი კურსები (capstone course).

სწავლის შედეგების შეფასების გეგმით უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი შეფასების მეთოდია ის, რომლის მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, სიმულაცია, სალიცენზიო გამოცდა და ა.შ.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აღიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნასაც. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

➤ **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების უკუკავშირი**

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას ხდება სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის სამიზნე ნიშნულებთან დადარება და შედეგების ანალიზი. შეფასების შედეგების დამუშავება და ანალიზი ხდება ფაკულტეტის მიერ. დამუშავებული შედეგები განიხილება ფაკულტეტის/წარმომადგენლობით საჭოზე და განხილვის შედეგად დაიგეგმება შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებებისა და ჩარევების განხორციელება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგებზე რეაგირებისა და მისი გამოყენების პროცესი შესაძლოა გამოვსახოთ შემდეგი სქემის სახით:

